ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ № 57

ქ.თბილისი

03 აპრილი 2015 წ.

ერთის მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, წარმოდგენილი ინსპექტორის თამარ ქალდანის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, **შპს ,,CMS (Climate managmants Systems)"** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი მაჩიტიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდება და ვადები

1,1 წინამდებარე ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს (CPV 42500000 - გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები) გათვალისწინებული საქონლის კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის დანართი №1-ით გათვალიწინებული კონდენციონერის მიწოდება.
1.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება - უნდა განხორციელდეს 2015 წლის 08 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ თბილისი ვაჩნაძის ქ #9 / პუშკინის #10 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შენობაში.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 4837 (ოთხი ათას რვაასოცდაჩვიდმეტი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით).
2.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".
2.3. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).
2.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება. აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
3.1.2 აწარმოოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის კონტროლი ამ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1 მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულების 2.4 პუნქტით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;

3.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.3.1 მიიღოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულება.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.4.1 განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტის მოწოდება დანართი N1-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჩნაძის ქ # 9/ პუშკინის ქ # 10.
3.4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში მაგრამ არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა. საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღებას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აწარმოებს 5.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი წარმომადგენლები დანართი #1-ში მითითებული მიწოდების ვადების შესაბამისად.
4.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ინსპექტირების აქტის საფუძველზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, რომელიც ანგარიშსწორების საფუძველია.
4.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 5. ხელშეკრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მხრიდან განახორციელებს უსაფრთხოების ადმინისტრატორი - გიორგი დიასამიძე.
5.2 ამ ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი მოიცავს:
5.2.1. შესყიდული ობიექტის ხარისხისა და ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო ზედამხედველობის განხორციელებას და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას;
5.2.2. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირებას.

მუხლი 6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის საქონელი და იგი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.
6.2 მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანატია 1 წელი.
8.2 მიმწოდებელი თავისუფლდება 3.4.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა და ასევე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში ცვლილებების შეტანის ინიციატორი იქნება შემსყიდველი, შესაძლებელია მომსახურების გაწევის ვადის ცვლილება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი შეთანხმების აქტის საფუძველზე.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
7.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ურთიერთშთანხმების აქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 9 .ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული თანხის 0.5%-ის ოდენობით.
9.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში წინამდებარე ხელშეკრულების 3.4.2. და 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული თანხის 0.5%-ის ოდენობით.
9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.4 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.4 იმ შემთხვევაში, თუ მე-9 მუხლის 9.1 და 9.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს პირგასამტეხლოს დამკისრებელ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.5. პირგასამტეხლოს დაქვითვა მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
10.2.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
10.2.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
10.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.3 10.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მხოლოდ ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 13. შეტყობინება

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, სატელეფონო შეტყობილნების ან ელფოსტის საშუალებით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აგვისტომდე.

მუხლი 15. განსაკუთრებული პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
15.2. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი #1 რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.
15.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მიმწოდებელს ხოლო ერთი ინახება შემსყიდველთან.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''	„მიმწოდებელი''
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	**შპს ,,CMS (Climate managmants Systems)''
საიდენტიფიკაციო კოდი: 205305515	საიდენტიფიკაციო კოდი: 401976279
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. 7	იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ა. აფაქიძის ქ. 15	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ #10
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	მომსახურე ბანკი: ს.ს.,, ბანკი რესპუბლიკა''
TRESGE22	ბანკის კოდი REPLGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE87BR0000010171990668
ტელ.: 2421000	
ელ-ფოსტა: office@pdp.ge	
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი	
	გენერალური დირექტორი
თამარ ქალდანი	გიორგი მაჩიტიძე

□	დასახელება და ტექნიკური პარამეტრები	რაოდ ენობა	ერთ ფასი (ლარში)	ღირებულ ება (ლარში) დღგ-ს ჩათვლით	გარანტი ა	მოწოდება/მონტაჟ ის ვადა	მოწოდები ს ადგილი
1	კონდიციონერ გრი GWH 24 KG-K3DNA5C/I	2	2,200.00	4400.00	1 წელი	მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 08 აპრილის ჩათვლით	ქ. თბილისი ვაჩნაძის ქ # 9 / პუშკინის # 10
2	კონდიციონერს სადგამი	2	25.00	50.00			
3	სპილენძის მილი	15	10.00	150.00			
4	სპილენძის მილი	15	7.00	105.00			
5	დრენაჟის მილი	15	2.00	30.00			
6	სადენი 1/4	17	6.00	102.00			
				4837			

შემსყიდველი

მიმწოდებელი

სახელმწიფო შესყიდვის №57
ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არარსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) გათვალიწინებულ მოთხოვნებს.

შესყიდვების სპეციალისტი

ნატალია მეტრეველი

მთავარი იურისტი

ეკა გორდაძე

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი

გურანდა ხოხობაშვილი